

შპს „სკინჩი“

ს/კ 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

დამტკიცების თარიღი: 11/09/2019

შპს „სკინჩი“

ს/გ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7

შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სკინჩი“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
2. გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
3. განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

1. კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
2. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
3. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 11 სექტემბერს.

დირექტორი: *ზ. ჯიქაძე* /ზაზა მახარაძე/

მთ. ბუღალტერი: *ს. ზუბაძე* /სოფო ბერიძე/



შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018
აქტივები	8		
გრძელვადიანი			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	12	324,303	465,385
სულ გრძელვადიანი აქტივები		324,303	465,385
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები	11	32,622	508,434
მოკლევადიანი მოთხოვნები	10	367,790	529,443
მარაგები	13	51,820	142,240
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	1,355,159	220,334
სულ მიმდინარე აქტივები		1,807,392	1,400,450
სულ აქტივები		2,131,696	1,865,836
კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		(280,000)	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(280,000)	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	14	(347,584)	(57,679)
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი ხელფასები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(347,584)	(57,679)
სულ ვალდებულებები		(627,584)	(57,679)
კაპიტალი			
საემისიო კაპიტალი		-	-
საწესდებო კაპიტალი		-	-
რეზერვები და დაფინანსება		-	-
გაუნაწილებელი მოგება	16	(1,504,112)	(1,808,157)
სულ კაპიტალი		(1,504,112)	(1,808,157)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		(2,131,696)	(1,865,836)

დირექტორი: *გ. ჯიბაძე* /ზაზა მახარაძე/

მთ.ბუღალტერი: *ს. ბერიძე* /სოფო ბერიძე/



შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნა	(ლარი)
შემოსავალი რეალიზაციიდან		10,067,451
შრომის ანაზღაურება		(83,644)
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება		(9,103,650)
რეალიზებული ძირითადი საშუალებები		(14,237)
ქონების გადასახადი		(7,111)
ცვეთა და ამორტიზაცია		(33,723)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(67,351)
საოპერაციო მოგება		757,735
საპროცენტო შემოსავლები		-
შემოსავალი კურსთა შორის სხვაობიდან		0
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		(188)
მოგება/ზარალი ფინანსური საქმიანობიდან		(188)
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი		(188)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18	(3,503)
მოგება/ზარალი გადასახადებამდე		754,045
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება/ზარალი		754,045

დირექტორი:

გ. მახარაძე

/ზაზა მახარაძე/

მთ.ბუღალტერი:

ს. ბერიძე

/სოფო ბერიძე/



შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი

	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	რეზერვები და დაფინანსება	სულ
31 დეკემბერი, 2017	-	1,504,112	-	1,504,112
მოგება წლის განმავლობაში	-	754,045	-	754,045
მოგების განაწილება	-	(450,000)	-	(450,000)
31 დეკემბერი, 2018	-	1,808,157	-	1,808,157

დირექტორი: *8. შხაძე* /ზაზა მახარაძე/

მთ.ბუღალტერი: *ს. ბერიძე* /სოფო ბერიძე/



შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

შპს „სკინჩი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2012 წლის 20 იანვარს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. „კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შ.ნუცუბიძის ფერდ., V მ/რ, კორ. 10, ბ. 21. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 400018896

„კომპანიის“ დირექტორია ბატონი **ზაზა მახარაძე** (პ/ნ: 01010007133), რომელიც „კომპანიის“ წილის 33%-ს ფლობს, კომპანიის სხვა დამფუძნებლები არიან:

ბაჩუკი ბერიძე, (პ/ნ 12001000211), ფლობს 34%-ს;

ოთარ ლალუაშვილი, (პ/ნ 01024007824), ფლობს 33%-ს.

შპს „სკინჩი“ არის სამშენებლო კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობაა: გზების და ავტობანების მშენებლობა - ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი: 4211; მზა ნაგებობების ან მათი ნაწილების მშენებლობა; სამოქალაქო მშენებლობა - ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი: 4520.

შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

2. ურთიერთდამოკიდებული პირები:

შპს „სკინჩი“-ს ურთიერთდამოკიდებულ კომპანიას წარმოადგენს შპს „პერიმეტრი“, რომლის დამფუძნებელი, 100% წილის მფლობელი და ასევე დირექტორია **ზაზა მახარაძე**. ურთიერთდამოკიდებულ კომპანიასთან გარიგებები ხორციელდება გაშლილი ხელის პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანიებს შორის გარიგების ფასზე გავლენას არ ახდენს მათი ურთიერთდამოკიდებულება.

2018 წლის განმავლობაში განხორციელებული ბრუნვა შპს „პერიმეტრი“-თან:

დებიტორული ბარათი:

საწყისი ნაშთი	დებეტური ბრუნვა	კრედიტული ბრუნვა	საბოლოო ნაშთი
თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)
15 090	796361	796361	15090

კრედიტორული ბარათი:

საწყისი ნაშთი	დებეტური ბრუნვა	კრედიტული ბრუნვა	საბოლოო ნაშთი
თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)
0	2110156	2110179	24

3. მომზადების საფუძველი:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს „კომპანიის“ პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორისი“. პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

სააღრიცხო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს–ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

4.სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა:

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“ „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებები. კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება როგორც ფინანსური შემოსავლები და ხარჯები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგებაში გამოყენებულია შემდეგი კურსები: აშშ დოლარი - 2.6766 , ევრო - 3.0701

5.საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

6.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად: კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

-აქტივი მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი გამოყენება ან რეალიზება 1 საანგარიშო წელზე ნაკლებ ვადაში და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

-გრძელვადიანია აქტივი, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია 1 საანგარიშო წელზე მეტი ვადით და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

-ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

7. შეფასების და წარდგენის ვალუტა:

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარმოსადგენი ვალუტაა.

8. აქტივები:

კომპანიის აქტივების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მიმდინარე აქტივები, რომლიც წლის ბოლოსთვის მთელი აქტივების 75% შეადგენს. მიმდინარე აქტივები თავის მხრივ შედგება, ფულის და მათი ეკვივალენტებისგან, მოკლევადიანი მოთხოვნებისგან და სასაქონლო-მატერიალური მარაგებისგან.

კომპანიის გრძელვადიანი აქტივები შედგება ძირითადი საშუალებებისგან და არამატერიალური აქტივებისგან.

შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

9. ფული და ეკვივალენტები:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2018
ნაღდი ფული სალაროში	809,275	18,691
ფული საბანკო ანგარიშებზე	545,884	201,643
სულ	1,355,159	220,334

10. მოკლევადიანი მოთხოვნები:

სავაჭრო და სხვა დებიტურული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირადპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-გარალში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები მომსახურებიდან	367790	529443
სულ	367,790	529443

11. გადახდილი ავანსები:

კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის და მომსახურების შესყიდვის მიზნით, ასევე მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	30470	504,784
ზედმეტობა საგადასახადო ორგანოსთან	2152	3,650
სულ	32,622	508,434

12. ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სხვის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები

სხვადასხვა სახის აღჭურვილობა და ინვენტარი 3-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები 3-10 წელი.

ნაგებობები - 10 წელი.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულშემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები								
	შენიშნა- ნაგებობები	მიწა	დაუმთავ რებელი მშენებლ ობა	მანქანა დანადგა რები	ავიჯი და სხვა ინვენტარ ი	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	არამატერ იალური აქტივები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>								
დეკემბერი 31, 2017	185,810	13,448	71,704	129,563	18,725	-	1,134	420,384
მატება	5,697	-	158,735	26,613	1,147	-	-	192,192
კლება	-	-	-	21,237	-	-	-	21,237
დეკემბერი 31, 2018	191,507	13,448	230,439	134,939	19,872	-	1,134	591,339
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუჯანსაღება</i>								
დეკემბერი 31, 2017	29,531	-	-	53,067	13,483	-	-	96,081
მიმდინარე წლის ცვეთა	17,454	-	-	13,694	2,575	-	-	33,723
ცვეთის ამოზრუნება გასხვსებაზე	-	-	-	3,850	-	-	-	3,850
დეკემბერი 31, 2018	46,985	-	-	62,911	16,057	-	-	125,954
<i>ნარჩენი ღირებულება</i>								
დეკემბერი 31, 2017	156,279	13,448	71,704	76,496	5,242	-	1,134	324,303
დეკემბერი 31, 2018	144,523	13,448	230,439	72,028	3,815	-	1,134	465,385

13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები:

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს. შეძენის დანახარჯები მოიცავს: შეძენის (ნასყიდობის) ფასს; საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა); სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები და სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2018
დაუმთავრებელი წარმოება	51466	140,842
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	355	1,397
სულ	51,820	142,240

14. მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავის მოვალეობებს საქონლის მოწოდებას ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, კომპანიას კრედიტორული დავალიანებებს წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებებს წარმოშობილი საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, ასევე გადასახდელი პროცენტები.

შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდ.	344692	57,679
გადასახდელი პროცენტები	2892	-
სულ	347,584	57,679

15. საგადასახადო ვალდებულებები:

კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოს საგადასახადო ვალდებულებები არ გააჩნია.

16. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი:

კომპანიის დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1 504 112 ლარს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დივიდენდად განაწილებულმა მოგებამ შეადგინა 450 000 ლარი, 2018 საანგარიშო წელს აკუმულირებულმა წლიურმა მოგებამ შეადგინა 754 045 ლარი. 12018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 1 808 157 ლარს.

შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

17. შემოსავლის აღიარება:

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია საქონლის/მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს. შემოსავალში გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

კომპანიის შემოსავლების ძირითადი ნაწილი შეადგენს სახელმწიფო ტენდერის პირობებით შესრულებულ სამუშაოებს.

18. ხარჯის აღიარება :

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის განევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ.

შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2018
ბანკის საკომისიო	5,206
ტენდერის მომსახურება	3,621
საწვავის ხარჯი	5,064
საკანცელარიო ხარჯები	1,158
სადაზღვეო ხარჯი	12,470
გარემოს ეროვნული სააგენტოს მომსახურება	596
სამშენებლო დასკვნის მომსახურება	2,695
იუსტიციის სახლის მომსახურება	35
საპროცენტო ხარჯი	26,573
ნავთობ პროდუქტების შენახვის ქირა	339
საშემფასებლო მომსახურება	200
სანოტარო მომსახურება	123
რეგისტრაციის საფასური	2
კომუნალური ხარჯები	2
ინსპექტირების მომსახურება	2,542
საჯარო რეესტრის მომსახურება	872
რემონტი	5,478
აუდიტორული დასკვნა	375
სულ	67,351

არასაოპერაციო ხარჯები

	31 დეკემბერი, 2018
ჯარიმა	2,041
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1,462
სულ	3,503

შპს „სკინჩი“

ს/კ: 404926407

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

15. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები:

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. (ასეთის არსებობის შემთხვევაში). 2018 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ქონია ადგილი ისეთ მოვლენებს რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას..

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2018 წელი.

დირექტორი:

ზ. მახარაძე

/ზაზა მახარაძე/

მთ.ბუღალტერი:

ს. ბერიძე

/სოფო ბერიძე/

